

გორისა და მცხეთის ბიბლიოთეკების რეპოზიციონირება

ნინო ბარნოვი, თათია თოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე-საზოგადოებრივი ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, საზოგადოებასთან ურთიერთობის

მიმართულება, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017



„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები. ვაცხადებთ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო, ბარნოვი, ნ.ბარნოვი 25/06/2017

თათია, თოიძე, თ.თოიძე 25/06/2017

სარჩევი

1. აბსტრაქტი -----	4
2. შესავალი-----	6
3. კვლევა -----	9
4. ქ.მცხეთის ბიბლიოთეკის კვლევის შედეგების ანალიზი -----	11
5. მცხეთის ბიბლიოთეკის ახალი პლატფორმა -----	19
6. მცხეთის ბიბლიოთეკის საკომუნიკაციო სტრატეგია-----	20
7. მცხეთის ბიბლიოთეკის ღონისძიებები -----	33
8. მცხეთის ბიბლიოთეკის ლოგო და მინი ბრენდბუქი-----	38
9. ქ.გორის ბიბლიოთეკის კვლევის შედეგების ანალიზი-----	40
10. გორის ბიბლიოთეკის ახალი პლატფორმა -----	46
11. გორის ბიბლიოთეკის საკომუნიკაციო სტრატეგია -----	47
12. გორის ბიბლიოთეკის ღონისძიებები -----	61
13. გორის ბიბლიოთეკის ლოგო და მინი ბრენდბუქი -----	69
14. დასკვნა - რეკომენდაციები -----	71
15. გამოყენებული ლიტერატურა -----	72
16. დანართი N1 თანამშრომელთა კითხვარი -----	73
17. დანართი N2 არსებულ მომხმარებელთა კითხვარი -----	76
18. დანართი N3 პოტენციურ მომხმარებელთა კითხვარი -----	79
19. დანართი N4 მცხეთის ბრენდბუქი -----	81
20. დანართი N5 გორის ბრენდბუქი -----	86
21. დანართი N6 მცხეთის პროექტის ბიუჯეტი -----	93
22. დანართი N7 გორის პროექტის ბიუჯეტი -----	97

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში არსებული ორი რეგიონალური ბიბლიოთეკის: ქალაქ მცხეთის „შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკისა“ და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის „პროფესორ სოლომონ ხუციშვილის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ რეპოზიციონირების პროექტს.

პროექტის მთავარი მიზანია ისეთი პლატფორმისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ჩვენი სეგმენტის კულტურულ მოთხოვნილებებზე და ამავდროულად უპასუხებს სფეროში არსებულ გამოწვევებს.

ამისათვის თავდაპირველად ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მცხეთისა და გორის ბიბლიოთეკების ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრა, ვინაიდან ბიბლიოთეკები ფაქტიურად დაცარიელებულია მკითხველებისაგან, გვანტერესებდა ის მიზეზ-შედეგობრიობა, რამაც მოცემული კრიზისი გამოიწვია. კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ, მოვახდინეთ მოცემულ ბიბლიოთეკებში პრობლემათა რანჟირება/კლასიფიკაცია და ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რაც ბიბლიოთეკებს გადაუჭრიდა არსებულ პრობლემებსა და დაეხმარებოდა სამომავლოდ აუდიტორიის მოზიდვაში.

ნაშრომში განხილულია: ბიბლიოთეკების წარმოშობის ისტორია, მათი ზოგადი დანიშნულება და როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ჩატარებული კვლევის მიზანი და შედეგები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია: ახალი პლატფორმა, განახლებული საკომუნიკაციო სტრატეგია და ტაქტიკა, ლოგო, ერთი წლის მანძილზე გაწერილი ღონისძიებათა ციკლი, ორივე საკვლევი ბიბლიოთეკის ერთწლიანი,

როგორც სრული, ასევე მარკეტინგული ბიუჯეტების გეგმა და ბრენდის კორპორაციული სტილი (ბრენდბუქი).

რეპოზიციონირების გეგმა შემუშავდა „ნედ პოტერის“ საბიბლიოთეკო მარკეტინგისა და საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონებზე დაყრდნობით.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: ბიბლიოთეკა, საბიბლიოთეკო მარკეტინგი, ბიბლიოთეკების რეპოზიციონირება